საუბარი ჩვენს რესპუბლიკაზე

რა მოგვცა დიდმა ოქტომგერამა

საბჭოთა საქართველოს სახვითი ხელოვნება

საბჭოთა სახვითი ხელოვნება, როელსაც ხელმძღვანელობს და წარმართავს კომუნისტური პარტია და რომელიც განუყრელად დაკავშირებულია ალის ცხოვრებასთან, სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებაა, შრომელია ლენინის შემოქმედი. ეგი მოწოდებულია დანერგოს და გაამტკიცოს შეგობრობა ხალხთა შორის, გადგეთოს საბჭოთა ადამიანების სტრიოტული გრძნობები, განამტკიცოს შრომელთა სოლიდარობა.

საბჭოთა საქართველოს ხელოვნება, ემყარება რა რეალისტური ხელოვნების ეროვნულ ტრადიციებს, დიდი როლი ხელოვნებასთან ერთიერთობით, დიდი საბჭოთა კავშირის მომე რესპუბლიკების ერთიან ოჯახში ვითარდება ნამდვილი ხალხურობის გზით. ქართული ხელოვნების ფასასაზიანებელი თვისებები უწინარეს ყოვლისა ცოცხალი ინტერესი რეალური საფუძველზე, ღრმა სიყვარული თავისი სამშობლოს ადამიანებისა და ბუნებისადმი, ოპტიმიზმი და სიმაღლისე. საბჭოთა საქართველოს ხელოვნება წარმოიშვა და განვითარდა როგორც ძველი ტრადიციების მქონე ქართული მხატვრული კულტურის ისტორიული განვითარებით განპირობებული კანონზომიერი მოვლენა. ეგი ჩამოყალიბდა და განვითარდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ხელოვნების რეალისტურ ტრადიციებზე.

რუსული საზოგადოებრივი აზრის მოწინავე მიმართულებებთან, განსაკუთრებით პრეოდიციულებთან დაკავშირებამ განამტკიცა ქართული საბჭოთა ხელოვნების რეალისტური ტრადიციები. ღრმად შეითვისეს რა რუსული რეალისტური სკოლის პრინციპები, ქართველმა მხატვრებმა, ხელოვნების მთელი რიგი თვალსაჩინო ნაწარმოებებით გაამდიდრეს ეროვნული საბჭოთა ეროვნული სამხატვრო კულტურა. რ. გელესიანმა, ა. ბერძენიშვილმა, ბ. გაბაშვილმა, ა. მრევლიშვილმა, მ. თოიძემ, რომლებმაც საბჭოთა განათლება რუსეთში მიიღეს, შექმნეს ბაკოფო შინაარსიანი, ღრმადეეური ეროვნული ქართული რეალისტური ფერწერა, რომელიც ბაღალ მხატვრულ და ტექნიკურ დონეზე დგას.

რევოლუციურმა აღმავლობამ, რაც წინ უძღოდა 1905 წლის აბჯებს, განაპირობა დემოკრატიული მიმართულების გაძლიერება მხატვრობაში. ამ მიმართულების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ა. მრევლიშვილი, რომელმაც მკაფიოდ ასახა ქართველი გლეხის ყოფაცხოვრების მთელი სიღრმე. „დიე თვითეულმა მხარემ, — წერდა ა. რეპინი, — გამოიმუშაოს საკუთარი სტილი და ასახოს თავისი სიცოცხლე ადეეები ზელოვნებაში, თავისებურად, დოკერეტულად და გულწრფელად, უყოყმანოდ, გამოიშუშავებული სხვისი გემოვნების გადმოეოლებლად". წინასწარმეტყველურად გაისმის სტატის დასკვნითი ნაწილის სიტყვებიი „მე მიკერა, რომ კავკასიის მხატვრული ხანა წინ არის. ეს ზოპარულად მძვინვარი კვეყანა წარმოშობს ასეთ მხატვრებს, რომლებიც ღირსნი იქნებიან ასახონ ეს კვეყანა ხელოვნებაში".

ბოლოსის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსების დიდიდან მოეწყო ხელოვნებათმცოდნეობის კათედრები, რომლებმაც მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს. საბჭოთა მთავრობამ უზრუნველყო ჩვენი კულტურის ისტორიული და მხატვრული ძეგლების დაცვა და რეტაურაცია. საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირთან მოეწყო მხატვრული კრიტიკის სექციი. 1934 წელს საქართველოში საბჭოთა ხელოსნეფლობის დაყარების დიდან დაარსებული საქართველოს ეროვნული გალერეის ბაზაზე მოეწყო საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაარსების დიდან შეიქმნა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. მთავრობის ამ ღონისძიებათა შედეგად გაჩეულ იქნა დიდი მუშაობა ქართველი ხალხის მხატვრული კულტურის შესასწავლად.

ამგვარად ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ლიტერატურა წარმოდგენილია ბევრი მონოგრაფიული შრომით ძველი და საბჭოთა ქართული ხელოვნების დარგში, შესაძლებელი გახდა ისტორიული ნარკვევების შედგენა ქართული ხელოვნების შესახებ, დაწყებული ადრინდელი ლითონის ეპოქიდან თვით ჩვენს დრომდე.

ამ გეგრძოვამამ დადებითი გავლენა მოახდინა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაზე. ქართველ მხატვართა კოლექტივი თავისი შემადგენლობითა და შემოქმედებითი მიღწევებით საბჭოთა ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მომწიფებული რაზმია. მასში შედიან მხატვართა უფროსი და საშუალო თაობის წარმომადგენლები, რომლებმაც მდიდარი წვლილი შეიტანეს საბჭოთა ხელოვნებაში: ი. თოიძე, ვ. თოფურიძე, კ. მელიბაბიშვილი, ნ. კანდელაკი, ქ. მალალაშვილი, ს. კაკაბაძე, ა. ქუთათელაძე, გ. ახვლედიანი, კ. სანაძე, ი. ვეფხვაძე, უ. ჯიბარიძე, გ. ჯაში, ს. ნადირეიშვილი, ლ. გუდიაშვილი, ბ. ბლეტენი, კ. კიკნაძე, ს. მაისაშვილი, კ. მაყაშვილი, ვ. შერეხლოვი, შ. მამალაძე, ი. მამალაძე, კ. გრიგელშვილი, კ. ხუციშვილი, ს. ქობულაძე, ბ. გაბაშვილი, დ. ქუთათელაძე, ი. ოქროპირიძე, ა. გიგოლია, ვ. ვეფხვიძე, შ. მიქიბაძე, რ. სტურუა, დ. კაკაბაძე, ა. ციმაკურიძე, თ. ობაგელია და სხვები.

საბჭოთა სინამდვილემ ძირეული გარდატეხა მოახდინა ქართველ მხატვართა მსოფლმხედველობაში, ახალი ემოციებითი იმპულსი მისცა ხელოვნებას და წარმართა სოციალისტური რეალიზმის მხატვრული პრინციპების დანერგვის ჯანსაღი გზით.

საბჭოთა ეპოქა თავისი გრანდიოზულობით, განვითარების შინაარსითა და ტემპით ყველაზე შესანიშნავი პერიოდია კაკობრიობის ისტორიულ განვითარებაში. სოციალისტური წყობილების განმტკიცებელია, კომუნიზმის დიადი მშენებლობანი, დემოკრატიული ბანაკის გაძლიერება, მშვიდობისათვის აქტიური ბრძოლა, რომელსაც დიდი საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობს, უდიდესი მოვლენებია კაკობრიობის ისტორიაში.

ხელოვნების საბჭოთა ოსტატების ძირითადი ამოცანაა მოიცვან და შემოკმედებითად გაიაზრონ ამ მოვლენების სიდიადე, ღირსეულად და ეტყუარად ასახონ ისინი.

შორეულ წარსულს ჩაბარდა ის ეპოქა, როდესაც მხატვრები ათეულ წლებით მუშაობდნენ ერთ სურათზე. მხატვარი, თუ მას სურს თავისი ხელოვნებით ხალხს ეშასპაროს, თავისი შემოქმედებითი პროგენიას მეთოდის გადაქმნას უნდა ახდენდეს მუშაობის პროცესშივე, რათა ღირსეულად დაძლიოს შემოქმედებითი სინანულები, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა სინამდვილის განვითარების ტემპებიდან, ამ ამბების შინაარსის სირთულიდან, რომელთა შემოქმედია ჩვენი ეპოქის ადამიანი.

ხელოვნების განვითარების საბჭოთა პერიოდმა ყურადღება გაამახვილა საბჭოთა ხელოვნებაში ახალი ქარის, თემატიკური სურათის შექმნისათვის. ბრძოლა თემატიკური სურათის შექმნისათვის სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის გამოვლინების უმაღლესი ფორმაა. ფერწერაში ჩვენს თვალწინ თანდათანობით ცხრება „ეტიუდომანიის" ტალღა, რაც მემკვიდრეობად დაგვიტოვა რევოლუციის წინა პერიოდის ხელოვნებამ, როდესაც კომპოზიციური სიუჟეტური სურათი შეცვლილი იყო ეტიუდით ნატურიდან.

საბჭოთა ხელოვნებაში სურათის ალორძინების პროცესი ამავე დროს იყო ახალი ფერწერის, სოციალისტური რეალიზმის ფერწერის დამკვიდრების პროცესი. სამწუხაროდ, ქართულ საბჭოთა ფერწერაში დღემდე მხატვრების უმრავლესობის სურათი არსებითად წარმოადგენს გადიდებულ ესკიზს, ზოგჯერ ეტიუდს, რომელიც ოკეთს შემთხვევაში შესრულებულია ნატურიდან. ნატურიდან ეტიუდი კი, რა ფერწერითი ღირსებაც უნდა ჰქონდეს მას, მუდამ დამატებითი დოკუმენტალური მასალაა სურათისათვის. რამდენადაც ეტიუდები მშენებლობის პროცესში მყოფი, ცვალებადი სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების მხოლოდ ცალკეულ მომენტებს აღბეჭდავენ, მხატვრის წინაშე დგას საკითხი — როგორ შეაგროვოს ეს დაქსაბული რგოლები მომავალ სურათში, რომ არ დაკარგოს მოძრაობის გრძნობა, ცხოვრების მაჯისცემა, რომელთა ასახვას ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ სახეში? როგორ გამოხატოს ხელოვნებაში ცხოვრების დინამიკა? საბჭოთა ხელოვნების ეს პრობლემები წარმოიშვა არა ვიწრო-მხატვრული ძიებისა და ინტერესების კარჩაკეტილი საბაყარის ვითარებაში, ისინი თვით ცხოვრებით არის ნაკარნახევი.

საქართველოს მხატვრებმა უნდა იბრძოლონ ეტიუდიზმის, ეკლექტიზმის და ესკიზურობის, ნაწარმოებთა დოკუმენტაურობის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა საბჭოთა კულტურისა და ხელოვნების განვითარების ახალი ამოცანები. იმ ღონისძიებებმა, რომელიც ყრილობის შემდეგ გატარებულ იქნა პიროვნების კულტის მავნე შედეგების ლიკვიდაციისათვის, საქართველოს მხატვრებს საშუალება მისცა დაეძლიათ ის შემოქმედებითი შეზღუდულობა, რომელსაც ისინი წლების განმავლობაში განიცდიდნენ და, რომელმაც საგრძნობლად შეაფერხა საქართველოს სახვითი ხელოვნების განვითარება.

კომუნისტური პარტია დიდად აფასებს სახვითი ხელოვნების როლს საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებაში, კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა საქართველოს მხატვრებმა, სოციალიზმის დიდი ქვეყნის სახვითი ხელოვნების მუშაკებთან მჭიდრო, მეგობრული თანამეგობრობით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უნდა იბრძოლონ მოწინავე ხელოვნებისათვის, კომუნისტური წყობილების საბოლოო გამარჯვებისათვის.

შ. ავერიანოვიანი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.